სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State University

ბრძანება № 1-06

გორი --05 ---02-----2024წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნისა და წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 07 ნოემბრის N09-204 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების არჩევის წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადის 2024 წლის 25 თებერვლისათვის ამოწურვასთან დაკავშირებით, დაინიშნოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი - 2 წევრი;

ბ) განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი;

გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი.

2. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 12 თებერვალს და დასრულდეს 2024 წლის 21 თებერვალს, ხოლო არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 26 თებერვალს.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მის.: ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, ოთახი 118.

4. დაევალოთ აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებს სარეგისტრაციო განცხადებაში დაადასტურონ, რომ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ უკავიათ აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა.

5. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

6. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.

7. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

8. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის.

9. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი